ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ126. 126251212**
თარიღი:**01/05/2025**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის, 119-ე მუხლის მე-6 პუნქტის "ა"და "ბ" ქვეპუნქტების, მე-10, მე-11 პუნქტების,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს N27 და 2024 წლის 27 დეკემბრის N46 განკარგულებების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 52-ე, 53-ე და 54-ე ე მ უხლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების თანახმად და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემისათვის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სხდომის 2025 წლის 28 აპრილის N 4 ოქმის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, იმავე პირობებით ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე და განისაზღვროს:

1. სატრანსპორტო საშუალება (Toiota landcruser lc150) სახელმწიფო ნომრით SZ-111-CS. 17300 ლარი

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს ---17 300 ლარი

ბ) ,,ბე’’-ს საფასური განისაზღვროს ---2000 ლარი.

გ) ბიჯის საფასური განისაზღვროს---- 200 ლარი.

II. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს ვებგვერდზე www.eauction.ge.-ზე გამოცხადების მომენტიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით, ხოლო არა სამუშაო დღის გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი დამთხვევისას, აუქციონი ჩატარდეს მიმდინარე პირველივე სამუშაო დღეს.

III. დაევალოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის მდივან ნინო ძიძარიას უზრუნველყოს საუქციონო განცხადების www.eauction.ge.-ზე განთავსება.

IV. ელექტრონულ აუქციონის ფორმით, ქონების პრივატიზებისას „ბე“-ს საფასურის გადახდა განხორციელდეს საბანკო ანგარიშებზე, ერთიანი საბიუჯეტო

5200 ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ.# 5. ტელ: 599647050
5200 K.SALIA ST. #5. TSALENJIKHA,GEORGIA TEL: 599647050
WWW. TSALENJIKHA.GOV.GE E-MAIL. TSALENJIKHAMERIA@TSALENJIKHA.GOV.GE

ანგარიში: (მოძრავი ქონებაზე - N300393332; უძრავ ქონებაზე- N300393313; არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - N300393390) სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში: მოძრავ ქონებაზე--N300393224; უძრავ ქონებაზე--N300393212; მიწაზე-- N3003933047.
V. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
VI. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.(მისქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქუჩა12).

ივანე ბურდული

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი